ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1049728

ნომერი: AR1182511

თარიღი : 05.12.2013

გაცემის თარიღი : 27.12.2013

გაცნობის თარიღი : 27.12.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ.სამხედრო გზაზე , ახმეტელის ქუჩისა და ა.გ.ს. , "გრეკოს"-ს შორის / ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩისა და ავტოგასამართ სადგურ "გრეკო"-ს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ფარულავა პ/ნ 01018003578
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 7 ბ. 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1182511 (05.12.13.) ელექტრონული განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.13.01.022.161 სავაჭრო ფუნქციის ობიექტის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ:

2013 წლის 15 მაისის #AR1131519 განაცხადის პასუხად ახსნილი იყო ის გარემოებები რის გამოც ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება. კერძოდ, საპროექტოდ შერჩეული ტერიტორია ფართობის სიმცირის გამო (277 მ^2) წარმოადგენს არსებული ზონისთვის (საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2) შეუსაბამო მიწის ნაკვეთს, რომელიც დამატებით იზღუდება აღმაშენებლის ხეივანის გაფართოვების მიზნით დასმული განაშენიანების რეგულირების ხაზით. აღნიშნული ხაზი ნაკვეთს საკადასტრო საზღვრის დასავლეთიდან 6.6 მეტრით ამცირებს საპროექტო არეალს (რჩება დაახლოებით 185 კვ.მ). საპროექტო სივრცის კიდევ უფრო შემცირების ალბათობას ზრდის მომიჯნავე ნაკვეთზე არსებული ობიექტის (ავტოგასამართი) ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შემანელებელ–ამაჩქარებელი ზოლის არსებობა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმებისა და წესების (მიჯნის ზონები, მანქანების პარკირება და სხვა) დაცვა.

ახალი განაცხადით ახალი გარემოებები აღმოჩენილი არ არის, ამიტომ სამსახური რჩება იგივე პოზიციაზე.

იმ შემთხვევაში თუ მოხდება დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მის მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან/ებთან გაერთიანება, შესაძლებელი იქნება საკითხის თავიდან განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება .

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.